


ვაშომცემლობა ალექსანდრე გრიგოლის ძე უგუშოვისა. № 8.

გვერდი ეპისტოლი



წერილები მ. გ. ჯანაშვილისა.



თბილისი.

სტამბა „შორაპანი“ მადათოვის კუნძული № 1.
1915 წ.

კ ჸ ე

საზოგადო ნიუნივერსიტეტი

ლვთის დიდებული ქმნილებაა..

მოკლე სახელი აქვს და დიდი მნიშვნელობა.

უმისოდ ცხოვრება არ იქნებოდა. წამსვე უოველივე
დაიხროდა, გაიფიჩებოდა. არა თუ გაშეშლებოდა, გაიყინე-
ბოდა, ვარ იცის, მთელი სამყარო რად იქცეოდა, მტვრად,
თუ რამე უცნობ ნიუთივრების გუნდად.

მზე სიცოცხლის წყაროა. იგი ძლიერებაა: აჩენს, ალორ-
ჭინებს, ჰქონდეს; ამწვანებს, აბიბინებს, აყვითლებს.

მზე სამყაროს სასწორია. ვით სასწორის ახრა-დახრით
ჩნდება სისწორე, ისე მზის ასვლა-დასვლით მყარდება მსოფ-
ლიოს შეურჩეველი მიმზიდველობა.

მზე მართლმსაჯული მიმცემია: „კარდთა და წეხვთ“
სწორად შეფინების.

იგი აჩენს წელიწადს და მასში სამს უამს, არეს.

გა-ზა-ფხულს ¹⁾ მწვანილოვანს (თებერვალი—მაისი),

ზა-ფხულს ოქროფეროვანს (ივნისი—სეკლემბერი),

ზა-მთარს ²⁾ თოვლიანს (ოკტომბერი—იანვარი).

ზღვიდან ამოაქვს წყალი ორთქლის სახით, გაღააქვს
უოველმხრივ, აწვიმებს, რწყავს არემარეს, ახარებს ქვეუ-
ნას.

გაშორებულს ვნატრობთ, რადგან გვყინავს, მოახლო-
ვებულს ვაქებთ, ვადიდებთ, რადგან გვათბობს.

¹⁾ სეან. ზა — წელიწადი.

²⁾ ზა — მთარი წელიწადი თოვლიანი (თირი-თოვლი).

მისი საყდარი იყო მცხეოას; არმაზში.

აქ სუფევდა მზე-ლმერთის ქვეყნიური ნიში, მეომრის მსგავსი, პაბუკი, მუზარადოსან-ჩატხუტოსანი, სამხრე სამკლა-ვეგბიანი, ამოღებულ ხმლით-ხელში, ბრწყინვალე ბივრიტის ოვალებიანი ³).

ოქროსებრ ელვარებდა მთელი მისი არსება. გამომეტ-ყველება ჰქონდა ალერსიანი.

ანდალმა მისი აღმართულიყო არმაზის წყლის ღრმა ღფ-ლის შუა კვერცხივით აბურცებულ გორაკის მწვერვალზე.

აქედან ჰპატრონობდა იგი მთელს საქართველოს. ვაი მის მტერს, რომელიც გაბედავდა ქართველის დაჩაგვრას. მიუსევდა მხედრობას და შემუსრივდა.

ხუმრობა საქმე არ იყო მისი აყოლა:

აკი ამ აყოლისთვის ქალდეველთ ღმერთ ითრუშანს თავზე კავალი დაამტკრია: „მასზე ზღვა მოაქცია“ ⁴).

ძლიერი იყო არმაზი (მზე) ვიღრე ღმერთობდა.

პირნათლად უძლევებოდა თავისს მოვალეობას და სახე-ლოვანად ახელმწიფებდა თავისს საქართველოს.

მეფობდა ერი თავისუფლად, ტანში მაღლა აღმართული და არა წახრილი, თავჩაქინდრული.

წადრეკა, თავჩაქინდრულობა მონა ერის წესია.

³) შატბ. ქრონ., გვ. 21: „ვიხილე და აპა დგა კაცი ერთი სპი-ლენისად და ტანსა ეცვა ჯაჭვი ოქროსად და საფხუტი ოქროსად და სამარინი. ესხნეს ფრცხილი და ბივრიტი და კელსა აქუნდა კრმალი ღფ-სულს, რომელი ბრწყინვიდა და იქცევოდა კელსა შინა“.

⁴) შატბ. ქრონ., გვ. 24: „ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან და ჩვენი ესე ღმერთი არმაზ ყოვლადე უჩოერთას მტერ არიან: რამეთვ ამან არმაზ ოდესმე მასზედა ზღვად მოაქცია და ამ მან შური იძია და მოაჭია ესე ამას ზედა“.

მშეფობი ერი ვარსკვლავებს და მზეს ეთაშემება და ეა-
ლერსება.

დაბადება და აღზდა

პირველ ხანს ცა ისე დაბლა იყოო, რომ დედამიწაზე
მდგომი კაცი ხელით სწვდებოდა. ღმერთი მიიმართოდა აშ-
ხივრცეში, ვით სფერო, და უვლიდა თვისს ქმნილებას.

ცხოვრობდათ შას ფამს მნათობი, რომელსაც ორი ცოლი
ჰყვანდა და ამ ქალებისაგან ორი შვილი, თითოსაგან თითო-
ესენიც მნათობნი.

წარსდგნენ ეს დედები ღვთის წინაშე და მოახსენეს:

— ქვეყანას აკლია მზე და მთვარე. გააჩინე. მათი გა-
ჩენით დამშვენდება არე, ქვეყანას მრავალფერობა მიეცემა.
კაცი გაიხარებს, დამშვიდდება, რადგან ნაირნაირობა სიხარუ-
ლია გულგამყოლებელი, ერთფერობა კი მწუხარებაა გულჩა-
მათხრობელი.

ღმერთმა არ ინება ნათხოვნის ასრულება.

ერთი დედათაგანი დაექადა — აგასრულებინებო და ლა-
ვაშით უშმინდურობა მოხოცა თავისს შვილს, მით წაპილწა
ღვთის მადლი პური.

ღმერთი განჩინედა და უთხრა იმ ორ ქალს:

— თქვენს შვილებში რომელიც დილით აღრე აღვება,
ის მზედ იყოსო. და თვითონ კი დაბლა დგომა აღარ ინება,
აჯგრა თავი ცას, მაღლა-მაღლა წააღო და წავიდა...:

დედები სწუხდნენ მისთვის, რომ ორივეს სურდა შვილი
მზედ ჰყოლოდა: მზეობა სანატრელი იყო.

იმავე დღეს დედებმა ღმერთის პირობა შეატყობინეს
შვილებს. ცალცალკე არიგებდნენ და ეუბნებოდნენ: „ეცადე,
შვილო, არ შემარცვინო, მზეობა არ დაჰკარგო, ხვალ აღრმ-
ადექიო“.

დაიქადნენ, გაიბაასნენ.

ერთი ადრე პირსაღამოსვე დაწვა და ლრჩა ძილს მისცა
თავი.

მეორემ ლოგინში ჭინჭარი და ბირკი ჩაიყარა და ჩაწვა.
ფიქრობდა: ჭინჭრისა და ბირკის სუსხი ძილს გამიტრობობს
და ჩემს მეტოქეს ვაჯობებო. შარტლაც, დიდხანს ძილი არ
მიეკარა, სულ ბრუნავდა, ბორგავდა, კვნესოდა სიმწვავისა-
გან. მაგრამ ბოლოს ბუნება თავისი მოითხოვა: დილახანს-
თვალი მიირულა, ტკბილად მიიძინა.

ყვინჩილებისა და ტოროლას გალობა-ყივილის დრო იყო,
რომ პირველს გამოეღვიძა, ადგა გმირი, ხელპირი დაიბანა,
ჩაიცა ბრწყინვალე საცმლი, გადიცო სამხრეები, საწვივე,
საგულე, დაიხურა ელვარე ჩაფხუტი და წავიდა მაღლა-მაღლა
ქვეყნის გასაღვიძებლად.

მთელი მისი არსება ცეცხლის ბურთად იქცა. ყოველ-
მხრივ გაფანტა განმაცხოველებელი სხივები.

ყოველი სული უკვე ფეხზე. იდგა, რომ ჭინჭარ-ბირკზე
მწოლარესაც გაეღვიძა და მთქნარება იწყო. მისი დედა მა-
შინ პურს აცხობდა. გაუჯავრდა მცონარს და ცომიანი ხელი
ჩასცხო. იგი მთვარედ იქცა და წავიდა ლამის გასანათებლად,
მაგრამ პირის სახეზედ შერჩა ცომიანი ხელის ლაქები.

მზისა და მთვარის ურთიერთობა.

მას აქვთ შემოსწყრნენ ერთმანეთს.

თუმცა სახლი ერთი აქვთ ბეჭილას ¹⁾), მაგრამ ერთმა-
ნეთს არას დროს არა ხვდებიან: მზე რომ ჩადის, მთვარე
ამოდის.

მზის სახლი სპილენძისაა. აქ დედა ჰყავს, მზე რომ გა-

¹⁾ მეგრ. ბეჭა—მზე, ბეჭილუ—აღმოსავლეთი მზვარი.

იხდის და დაწვება, ქვეყნის რეგისტრის სიჩნელე ეფინება, და რომ
სულ კუკუმათი არ გამეფდეს, მის საცმლის კალთის შუქი
მთვარეს ეფინება და მით ანათებს

კაბუკი მზე გმირულად იძინებს, მეორე დღეს კი ისევ
აღრე დგება, მიღის ცა-ცა ოკანემდის, მასში ჩადისო და ქვე-
და სოფლიდამ ისევ ბეაილას უწევსო ¹⁾.

ერთხელ მზემა და მთვარემ გახლიჩეს პირი და ერთმა-
ნეთს შორიდგან გამოელაპარაკნენ: უმზრახად ყოფნა მოსწყინ-
დათ.

ნათელმა მთვარეში ბრძანა:
„ბევრით მე ვჯობიერ მზესა“.
დაჯდა, დასწერა წიგნები,
ზენაქარი მიათრევსა...
მზეს რო კაცი მიუვიდა,
მზე ძალიან გაჯავრდესა:
„მე და ვარ და ის ძმა არის,
რათ ვძულდებით ერთმანეთსა!“
მთვარემ შემოუთვალა:

— და ხარ, რომ დილით ჭურკლის დამრეცხავ და ძრო-
ხების მომწველ ქალივით აღრე ადგომით ამასწარ, მანდილი
ჩაფხუტად გექცა, ჩიქილა—მუზარადად, არდაგი—საგულედ,
ნაწნავები—ისრებად, წახველ, მზედ იქცა და თავი კველას
ბიჭად და გმირად მოაჩვენე! ნამდვილად კი შენ ქალურ სი-
მხდალისათვის თავი ვერ დაგიხწევია: რო დალამდება, გარეთ
თავს ვეღარ ჰყოფ! შემომხედე მე, როგორ დარბაისლად,
დიდებულად და გულმყარად დავსცურავ ცის სივრცეში და-
მითაც და დღისითაც!

შეუთვალა: „მერე ვისთვის რა სარგებლობა მოგაქვს? მე
კი ისეთი ტკბილი ვარ ქვეყნისთვის, როგორც რძე, რომე-

¹⁾ იხ. „საქართველო“ ნაგადულში, 1912, № 11, გვ. 45.

ლსაც ჩემივე სახელი ჰქვიან ¹⁾). მე ქვეყნის ძრბა ვარ, მსო-
ფლიოს მამამძუძე“.

— ეს, რა გელაპარაკო! გაბაღრულ მთვარეს რა სჯო-
ბია?

— ბრწყინვალე მზეს?

— გაბაღრულ ქალს რა შეეღრება?

— მზე ქაბუკს?

— ღამით სიარულისა გეშინიან: მხდალი ხარ!

— დღისით სიარულისა გეშინიან: მომიტაცებენო!

— კარგს იტაცებენ!

— გმირს ერიდებიან!...

ამისთანა შეკამათების შემდეგ და-ძმა შერიგდნენ და
გადლიანები შეიქმნენ.

თავუკანის ცემა.

ცა რომ მაღლა აიტაცა ღმერთმა და მეორე დღეს მზემ
დღიდებულად ამოსცურა ბეალოდამ და მაღალი მთის წვე-
რები შუქით მოალამაზა, ქვეყნიერება უჩვეულებრივოდ შეი-
შეუშნა, რაღაც ახალი სითბო და სიტქმო იგრძო ყოველმა
არსმა და მაღლობა შესწირა უფალსა.

ცხოვრება თანდათან გაცხოველდა, განაირნაირდა; გა-
ლამაზდა.

მრავალფერობამ გულგამაწყალებელი ერთფერობა მო-
სპო, მრავალგვარობამ გული გაახალისა, სიტქმოება დაბადა.

მაღლობით აეგსო კაცს მთელი თავისი არსება, თავყვა-
ნისცა და შემოპლილინა ტკბილი ხმით:

„მზე შინაო, მზე შინაო,

მზე, შინ შემოდიო!

შვილის მამა შინ არ არის.

1) მზე=მეგრ. ბეა=ინგ. ზედ; რძე=მეგრ. ბეა, ინგ. ზედ.

მზე, შინ შემოდიო!

ვხელავ ლომსა, მზის ნაშობსა,

მზე, შინ შემოდიო!

ვინ აჯობებს ვაშკაც გმირსა?

მზე, შინ შემოდიო[“]!

ახალი წეს-წყობილება.

მზეს დაუდგეს სალოცავები ყველგან: არმაზში, უფარ-
მაში, აწყურს, ქორნიძეს, ჯუმათს.

მზიან მხარედ დაისახა საქართველო. მოგზაურნი მოით-
ხრობოდნენ:

„ქვეყანა არის მარად-მზიანი

და მასში ერი ენა-მზიანი[“].

ეს ასე იყო, მაგრამ მზეს რათ უნდოდა საყდრები, სა-
ლოცავები, ის ისეც ქვეყანას უხვად უგზავნიდა წვიმას,
ნათელს, სითბოს.

რა გაეწყობოდა. კაცს სულისა თავის ფარად საყდარი
მიაჩნდა და ააშენა ყველგან.

ასე მიდიოდა დრო, ცხოვრება ახალ კალაპოტში იმარ-
თებოდა.

ზოგიერთგან წყლის სიმცირეშ გააჭირა საქმე. მაშინ
უზენაესმა დაბადა ფაზისი (რიონი). ეს ასე მოხდა:

მზეს ცოლად ჰყენილი თკირუა, რომელიც ოკეანეს ქალი
იყო. ამისგან მზეს გაუჩნდა მდინარე ფაზისი.

ერთხელ ფაზისმა დაინახა, რომ მისი დედა ღალატობს
ქმარს. მოკლა დედა და გასწია ქვეყნის მოსარწყავად¹⁾.

¹⁾ პლუტარხი (პან, 158): მდინ. ფაზისი სკვითიშია. წინად ერქვა
არქტური, რადგან მომდინარეობდა ციცს ქვეყნებში. სახელი ეცვალა ამ
მდინარეს ამის გამო. ფაზისმა, ძემ ჰელიოსისა (მზისა) და ოკეანეს ასე-

შემდეგ მზემ შეამჩნია, რომ, ხშირად, ადამიანებში უთან-სმოება ხდებოდა, ვერ იყოფდნენ წყალს, მიწას, საზღვას, არა ჰყავანდათ შემჩიგებელი, მოთავე.

მის შეილს ჰყავანდა შეილი მზე, ამას თავისი ძე აიეთისი. ეს დაუდგინა მთავრად, მეფედ: ჩემს შეილებს მოუაროსო.

მან ააშენა დიდი ქალაქები: აია, ქუთაისი, სიბარისი. მათში მშევნიერი სასახლეები დაღვა. ზაფხულობით ცხოვ-რობდა სიბარისში, შემოდგომას ქუთაისში, ზამთრობით — აიას.

აიეთისი ელვარებდა ვით ოკეანედამ იმომავალი მზის თვალი¹⁾. ბრწყინვალე მუზარადი, ჩაფხუტი და სხვა სო-მარი საცმელები და იარაღი ამშვენებდა მას.

მზე—ლმერთს მიეცა მისთვის ეტლი და მასში შესაბ-მელი რაზები, სწრაფები, ვით ქარიშხალი.

ჩაჯდებოდა-რა ეტლში, მარცხენა მკლავზე მაგარ ფარს მოიმარჯვებდა, მარჯვენაში გმირისეულ ლახვარს იკვერდა, ეტ-ლის კოფუზე ცხენების სამართავად ჯდებოდა მისი ძე კაბუკი აბსარი (აბხაზი), ეტლის წინ ანთეპული კერეონით ხელში დგებოდა მხედარი, შემდეგ მეფის ნიშნებით დაიძროდა ეტლი და გაქანდებოდა ქარივით. სწრაფ მოივლიდა მეფე სახელ-მწიფოს და დაბრუნდებოდა შინ (ჰან. გვ. ၆၁ და სხ.).

მოსულს სასახლის კარებთან ეგებებოდნენ ძმა პერსე, დედოფალი ჰეკატა, რომელიც პერსეს ასული იყო, შვი-ლები ეგიალი, ცირცეა, ქილკიოპე და მედეა. მეფე მიესალ-

ლის ოცირისის, მოკლა თავისი დედა, რადგან ამან ცოლ-ქმრულ სიწ-მიწდეს უღალატა. ამის შემდეგ ჰყაუზე შეირყა და გადგარდა არკტურში, რჩმელსაც მიერიდან ეწოდა ფაზისი.

1) მზისთვალად ქართ. წიგნებში თარგმნილია ბერძნული diskos (дискъ солнца).

მებოდა ყველას და სასახლისკენ გასწევდა. ყველანი მიჰყვებოდნენ.

სასახლეს პქონდა მარმარილოს კიბე, მაღალი კიდლები, კამაროსანი სვეტები. ზემო ნაწილს ამშვენებდა ბრინჯაოს ხვეულები და ხლართულები. კიბრის ორივე მხარეს გადაჭვენოდა ვაზის ბრძლანი, რომლის ჩრდილში იყო 4 აუზი: ერთში შადრევანად გამოსჩეფდა რძე, მეორეში—ღვინო, მესამეში—სურნელოვანი მირონი, მეორეში—ანკარი წყალი, ციცი ზაფხულს, თბილი ზამთარში. არემარეს ატკბობდა მრავალგვარ სირთა სტვენა, გალობა (პან. 49, 50, 91, 198).

სასახლის მოშორებით ცალკე ფარდულში ება სპილენძის რქიანი ხარები და სპილენძის პირებიანი, რომელთაგან ცეცხლს აფრქვევდნენ. იქვე იდო ფოლადისაგან გამოჭრილი გუთანი (პან. 50).

ვენახით, წაბლით, კაკლით, თხილით შემკული იყო აქაურობა და მთელი სამეფოც. უფრო თვალსაჩინო ზერები იყო ქუთაისის ბოლოს, ცირცეას ველზე.

ეს ცირცეა იყო აიეთის და. ამ ველზე მუშაობა უყვარდა. აქ აგროვებდა სხვა და სხვა ბალახებს და სამკურნალო წამლებს ამზადებდა. მას ამ საქმეში შველოდა დედოფალი ჰეკატა, აგრეთვე ცირცეა მეორე და მედეა.

პირველ ხანს სამეფოში მშვიდობიანობა იყო ძმები აიეთისი და პერსებ; რომელიც მეფობდა ტავრიდას (—ყირიმს), მეგობრულად ცხოვრობდნენ. აიეთის ქალი მედეაც საბერნეთს გათხოვდა. ამ დროს აიშალნენ ძმები. პერსე შემოებრძოლა ძმას და ტახტი წაართო. მედეა მოვიდა, დაავარცხა ბიძა და მამას ტახტი დაუბრუნა. თვითონ კი წავიდა აღმოსავლეთისკენ და ცალკე სიმეფო მედეა დაარსა. შემდეგ ამ სამეფოს დაერქვა მისი შვილის სახელი მიდია.

მეორე თავისი ქალი ქალკიოპე აიეთისმა მიათხოვა ბერძენს ფრიქსს, მესამე—ცირცეა სკვითთა მეფეს. ეს ცირცეა,

მეტად მძლავრი იყო, აუჯანყდა ქმარს, მოჰკლა და ოვითონ გამეფლა სკვითიაში.

მზე-ღმერთს სწყინდა, რომ კაცობრიობა ირეოდა და ამდენი სისხლი იღვრებოდა. ეუბნებოდა:

— რა გაჩხუბებთ, ყველანი ჩემი შვილები ხართ, ყველანი მიყვარხართ, თქვენს ქრისტი დადექითო,

ვინ იყო გამგონი.

მგელი მგელს ინდობს ვიღრე გასისხლიანებულს არ ნახავს, კაცი კი კაცს არა.

კაცი კაცისთვის მგელი კი არა, მგელზედაც უფრო მგელია.

დაიწყეს წაკიდება, ცარცვა, გლეჯა, მისევა.

გაჭირდა ცხოვრება. შეიქმნა შიში, ვალალი. ასე არ იგარებსო და იწყეს სახლ-კარის და ეზო-ყურეს შემომაგრება, შემოზღუდვა. ამანაც არ გასჭრა. აღვნენ და სასტიკი აღათები შემოიღეს, შეიბოჭნენ, შეკრნენ.

თავისუფალნი ახლა ღობე-ყორით შეიბოჭნენ, აღათის მონები გახდნენ.

მაგრამ ყველა ამანაც ვერ იხსნა ხალხი ბოროტისაგან

ახლა დატრიალდა ქვებუდანობა, გველაძუობა, მზაკვრიბა, ცბიერება.

ნათელი ღმერთი მაღლიდგან ხელივლა ამას და ამბობდა:

— ნერა რაზე იხოცავენ თავს, რათ იხუთავენ სულს, რათ იჭირებენ ყოფას. მიწა უხვადაა, ყველას ეყვის. ქმურად გაინაწალონ, ქმურად შეიმუშაონ, ქმურად იცხოვონ. სიტკბოებისთვის გავაჩინე. ყით კრუხის კალთებ ქვეშ მისი წიწილები, ისე მყვანან ჩემს სინათლეში, სითბოში, სიუხვეში და იგინი კი, დახეთ, რას სხადიან, როგორ სხაგრავენ ერთმანეთს. როგორ არ იშეტებენ ერთმანეთისთვის მიწას, წყალს, სითბოს და სინათლეს. და არა თუ ესრუ, ყველა ზეიადობს, ჩველას ღიღაცობა უნდა, ზოგი იმასაც ნატრიობს, რომ

უსაქმოდ და უშრომლად ქადა-ნაზუქი მიერთვას, ჟამოს, სვას, იქეიფოს, „მრავალ-უამიერი“, გააბას. ხელი მივე, რომ იმუშაოს, ფეხი, რომ იმოძრაოს, კუუა, რომ ბრძნულად იცხოვროს, ის კი ხელს არ ამოძრავებს და თუ ამოძრავებს, მოძმის დასაჩაგრავად, მის გასაყვლეფად, დასამონებლად. მეხომ ყველანი თანტოლ აზნაურებად გავაჩინე!

მოჰკრეს ამას ყური და შეიუბნენ: — ღმერთი დაგვსჯისო, გული რითიმე მოუვეოთო.

სურნელოვანი ბალახები და ხილი შესწირეს.

მაგრამ უზენაესს რათ უნდა ეს!

მერე დაუკლეს ნასუქი ცხვარი, პოხიერი კურატი.

მაგრამ ღმერთი ხომ სისხლის მწოვი არ იყო!

შემდეგ მოილაპარაკეს, გადასწყვიტეს:

— შვილები შევწიროთ და მით დავამტკიცოთ, რომ შვილზედაც მეტად ღმერთი გვიყვარსო.

გამჩენმა შემოუთვალით:

— ეგ უგუნურობაა. რა ნება გაქვთ სიცოცხლე წაართოთ არსებას, რომელშიაც ჩემი ცხოველი და მარად უკვადავი სული მკვიდრობსო, კარგად და კეთილად იცხოვრეთ, გგ იქნება ჩემი სიხარული, თქვენ-მიერ. ჩემდა შემოწირული მსხვერპლიო.

მაგრამ ღმერთს არ შეუსმინეს და იწყეს ბილწი სილოდა, ზორვა.

კაცის დაკვლა საღმთოდ.

ღმერთის ქვეყნიურ ტაძრების ღვდელმთავრად იყო მეფის მომდევნო საპატიო კაცი. მას ექვემდებარებოდა მთელი წმინდა ადგილი, საქურუმოებისა და სახატოების მოსამსახური. რენი. იმათვან რომელიც ქადაგად ჩაგარდებოდა, ღვდელმთავრის ბრძანებით იქერდნენ, საღმთო დალიანს (ბორჯილს).

უყრილნენ, მთელს წელიწადს ჰკვებავდნენ, მერე ღვდელმთა-
ვარი სცხებდა მირონს და სხვა ზვარაკებთან ერთად სწირა-
ვდა ღმერთს. მის ნიშნებით გარშემო მდგომ დასილგან გა-
მოვიდოდა მარჯვე მელახერე და მსხვერპლად გაწირულს
გულში ასობდა ლახვარს. მის წაკუევის მიხედვით ქურუმები
შკითხაობდნენ: შეიწირა ღმერთმა თუ არაო. შემდეგ ყვე-
ლანი მიწაზე გართხმულ გვამს ფეხს ადგამდნენ, რომ გაწ-
მენდილიყვნენ (ზან. 71).

ღმერთი კი მაღლიდან ხედავდა ამას და მწუხარებით
იტანჯებოდა ადამიანის მოგონილ უგუნურებაზე.

უკანასკნელი წუთები მზის ღმერთობისა.

ქვეყნის დაბადებიდგანვე კაცობრიობის ერთ ნაწილს
სწამდა: ახალი ღმერთი დაიბადება და თავისუფლებას მოგვა-
ნიქებსო.

მოვიდა მცხეთაში ამბავი: აღთქმული მხსნელი ღმერთი
დაიბადაო.

ქადაგებსო სიყვარულს, მაღალთა შინა დიდებას, ქვეყა-
ნისა ზედა მშვიდობას და კაცთა შორის სათნოებას.

ტანჯულთა, მაშვრალთა, დამცირებულთა, ლარიბ-ლა-
ტაკთა მეგობარიაო და მფარველი.

— მეო, უპასუხა მოამბეებს მზე-ღმერთმა, სწორად ვზ-
რუნავ ყოველის არსისთვის, ხილულისა და უხილავისთვის.
ჩემი სიყვარული ერთნაირად ეფინება მინდვრის მცირე შრო-
შანსაც, კაცსაც და ყოველს ციურს სფეროსა და შნათობს.
თანასწორობა სამყაროს მოძრაობაში ჩემით არსებობს, ჩემით
მტკიცობს. ჩემი ბრალი არ არის, რომ თვით კაცებმა მოი-
გონეს ერთურთის დამცირება, დაჩაგვრა, შულლი და მტრობა,
შვილების დაკვლა და სისხლის ღვრა. მე ვანათებ და მსურს
მთელი კაცობრიობაც განათლდეს, სიყვარულში ისატჭუ-
როს.

ვერაცინ პასუხი ვერ გასცა, კიდრე არ მოფილა კათბა-
ლუკიელი ქალწული, განთქმული მკურნალი და მეცნიერი.

მან ჰკითხა რიხიანად:

— შენ, არმაზ ღმერთო, მართალია ანათებ, ათბობ,
აღორძინებ, აბიბინებ, მაგრამ ვისის ნებით, ვინ მოვცა შენ
თვითონ ეგეთი ძლიერება?

— თვით ჩემ არსებაშია ეგ ძლიერება, მიუგო არმაზმა.

— ყური დამიგდე. ყოველიფერი: — ცა, დედამიწა, წყა-
ლი, ქარი, მნათობნი, კაცი, მცენარე და სხვა ცხოველები
გააჩინა უხილავმა დამბადებელმა ღმერთმა, რომელიც ზენა
არსთა არს და უჭირავს სამყარო თვისის ძლიერებით და უკ-
ვდავებით. ის თვითონ არის მიუწოდომელი ნათელი, ღმერთი
ღმერთთა და უფალი უფალთა. მან თვითონ გააჩინა ნათე-
ლი. ღმერთი ნათელ არს და არა არს ბნელი მისთანა არცა
ერთ.

მზეს სურდა სიტყვა მოექრა შეკითხვით: მე კი ნათელი
არა ვარო, მაგრამ ქალწულმა აღარ დააკალა, განაგრძო:

— შენ თითქო გეცინება. ღმერთი ნათელ არს, შენ კი
ღრი გამოშვებით ბნელდები. რასაც სიბნელე ახლავს, ის
ღმერთი არ არის. შენი დაბნელება თავზარს სცემს ყველას.
კეშმარიტი ღმერთი კი ბძანებს: მე ვარ ნათელი სოფლისა,
რომელი მოვიდეს ჩემდა, დაიმკვიდროს ნათელი. ღმერთი
თვით შვენიერება და თვით ელვარე არს, გამობრწყინდა ნა-
თელი, რათა განაქარცოს ბნელი კერპთ-მსახურებისა. ნათელი
ღმერთი ძველია და ახლის აღთქმის შუა მდგომარეობისა,
საზღვარი ძველსა და ახლს ცხოვრებას შორის. მისგან არის
სიმაღლე ცისა, სინათლე მზისა, სიღრმე ზღვისა და საძირ-
კველნი მისნი, სივრცე ქვეყნისა და საფუძველნი მისნი. მის-
გან არიან ქუხილნი კუთა ჰაერისადთა, მიწის ძრა, მეხის ტე-
ხანი. მის ბრძანებით შეიძვრის-რა ვეშაპი დიდი, რომელ არს

ზლვასა, შესძაგს მთელს ქვეყანას¹⁾, ასე რომ ირლვევიან მთანი
მყარნი, კლდენი ულალნი.

შეემ ხმა არ გასცა, მხოლოდ თავისთვის წაიბუტბუტა:
— უმზევდ სიცოცხლე შესწყდება!

არ მაჲ ის გორაჲ ე.

მცხეთა, რომელშიაც 30,000 მკვიდრი იყო, გაივსო
შორიდგან მოსულ მლოცველებით.

სიმჭიდროვისა და უალაგობისა გამო მრავალნი მტკვრის
ნაპირებზე დაბინავებულან,

მცხეთიდგან ბრატმან მეფის საჩრდილობელ აკაკიშვილის
ტევა აღარ არის. ბევრნი თვით არმაზის-წყლის ლელესა და
გორაკებზე შეფენილან.

უველგან კარვებია, ურმები, სამსხვერპლო ზეარაკები,
კურატები.

ხვალ, ექვს აგვისტოს არმაზის დღეობაა..

ხალხი შეჯრილა მის სალოცავად.

საერთო ღამისთვევაა. აქა-იქიდან მოისმის წინწილის,
სტეინის და ფანდურის ნაზი წყარუნი, გალობა—სიმღერის
გამოძახილი, დიდი ღრეობა.

ხილის ყურზე დგას შეენიერი ქალწული, ათვალიერებს
იქაურობას. გულზე პირჯვარს ისახავს და რაღაცას ბუტბუ-
ტებს ლმობიერად...

გატყდა ღამე. გათენდა.

ის იყო მზემ ამოაშუქა, რომ გაისმა ხმა შიკრიკებისა:
— გზა! მეფე გამობრძანდება.

ეტლით გაიარა დედოფალმა მრავალ სეფე ქალების თან-
ხლებით. ერთ გზას ყვავილებით უფენდა, დაბლა თავს უხ-
რიდა.

¹⁾ ზოდ. ქ. გვ. 38.

მერე გამოჩნდა ეტლითუე მეფე, ხალხმა თვი მოუღრიკა,
ყვავილებით შეუწეუ გზა-კვალი *) და შესძახა:

— გაგიმარჯოს ჩვენს მეფეს!

— დიდება ჩვენს ღმერთს არმაზს!

— ყველანი გაემართნენ არმაზის ტაძრისკენ.

შვენოდა იქაურობა.

აბიბინებულ იყო დილის მხის სხავებით.

მთელი ეს ეზობა ავიდა გაღლა.

გორის წვერზე ბრწყინავდა მშე-ჭაბუკი:

ეს იყო თვით ღმერთი არმაზი.

უფროსი ქურუმი ლოცავდა ერს, საღმთოებს ბუწეულს
უტუსავდა და დასტურებს ანიშნებდა: წაიყვანეთა, დაკალიოთ.

მეფე, დევოფალი და სასახლის დასი იქვე იდგნენ, არ-
პაზის წინაშე.

დამშეყალობლება რომ დასრულდა, ღვდელ-მთავრის ნიშ-
ნებით არმაზის წინ მუხლზე დაცუვაზენ ყველანი საერთოდ
სალოცავად.

ვერც კი მოესწროთ კარგად მუხლის დადგმა ნიადაგზე,
რომ სასტიკად დაწეექა. ჩამობნელდა. საშინელი გრგვინვა
გაიმა. მოპერა ძლიერმა ქარიშხალმა უაშ პირი ჰქმნა, და-
ასხა კოკიპარული წვიმა და მერე წამოვიდა გრიალით ქათ-
ის კვერცხის ტოლა სეტყვა.

*) ზატბ. ქრ. 20: ხვალისაგან იყო ემაჲ ოხრისაჲ და საყეირისაჲ,
და გამოვიდოდა ერი ურიცხვი, ეითარუა კვავილოსანი, ზარნი და საში-
ნელებინი გამოვიდოდეს, ხოლო მეფე არასადა შეძრულიყო. და ეითარუა
ჭამსკა ფამბან, სივლტოლად და მიდამომალვად იყო კუვლისა კაცისად,
და შეივლტოლა ყოველი კაცი საფარველსა ქუეშებ, რამეთუ გამოსაღმე ვი-
ტოლა ნანა დედუფალი, და ეითარუა განელო ნანა დედუფალმან, მაშინდა
შედიად-ნელიად გამოვიდოდა ყოველი ერი. და შემცეს ფოლოცი ყოვე-
ლი სამოსლითა თითო პირითა და უურცლითა და იწყო-შენებულმან ერმან
ქმბად მეფისა. და მაშინ გამოვიდა მიზტონ მეფე თუალი შეუდგამითა
შილვითა.

რასაც ხვდებოდა კოხი, ყოველივე ილეწებოდა, იმუს-
ახებოდა.

თავზარ დაცემული ერი მსწარაფლ მიიფანტ. მოიფანტა *).
ზოგი შეცვივდა იმ ნაპრალში, საცა იღვა კათბადუკიელი
ქალწული, რომელიც ხელაპყრობილი და შუქმიფენილი
ლოცულობდა მხურვალედ:

— ღმერთო, გონს მოიყვანე ეს ერი, რომელიც თავი-
სივე ხელით გაქოთებულს, ღმერთად სოვლის და მას თავყენს
სცემს.

ქალწულს ჯერ არც კი დაეთავებინა ეს ლოცვა, რომ
არმაზ-ღმერთს შიგ ქმნირში მოხვდა ცილდგან მოყლევილი
მენი. იგი დაგორძდა დაბლა და დაიმსხვრა ხევში.

ზეცილდგან მოისმა ხმა: „დაგორძდა ყრუ და გაშოუსადე-
გარი კერპი, საქართველოს სიმტკიცე კი ისევ აქა ვარ,
ცხოველი ღმერთი“.

ღრუბელი გაიპო.

ბრწყინვალე მზემ გაანათა. არემარე.

*) და ეითარცა შამისცოტა თუალისად იყო, დასაქლით ჰაერნი
და ქარნი შეიძრნეს და კმა სცეს ქუხილთა კმითა სახარელითა, და აჩნდა
ღრუბელი მოწრაფე, ნიშან საშინელი; და მოილო ნიაემან მზის დასაც-
ლისმან სული ჯერკუალი სიმტკიცისად და სიმტკიცისა. მაშინ ივლ-
ტოდა ყოველი კაცი სოფლად და ქალაქად. და ეცა მათ ღროვა, რათა
შეიჭრნეს კაცნი საყოფლად. და მეცს მოიწია რისხეისა იგი ღრუბელი და
მოილო სეტყუად ლიცერისა სწორი მას ადგილსა იდენ, და დალეწნა
კერპნი იგი და დაუქენა, და დააწულებილნა, და დაარღვენა ზღუდენი იგი
ქარმან სასტიქმან და შთაყარა იგი კლდესა“. (შატრ. ქრ., ე. რაყაიშვი-
გამოც., გვ. 23).

ქ უ ს ტ ი

მზე აღარ მშეობს ჩვენთანა,
დარი არ დარობს დარულად...

შოთა.

აღარა გვყავს დიდებული ჟეკი... ჩვენთვის იალბუზზე-
დაც უჯიდებულესი... იმ იალბუზზედ, რომლის შესახებ
გაღმოცემა გვაუწყებს:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა:

ციდან ჩამოესმა რეკა:

იალბუზზედ ფეხი შედგვა,

დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“...

აღარა გვყავს ტებილი, ახოვანი... გამოგვეთხოვა საუკუნოდ მოძლვარი ძლიერი... მასწავლებელი ერისა, მატიებელი და მატფურებელი მის უკეთეს სწრაფვისა; გულისნა-
ტე?ისა გარდაგვეცვალა.

გარდაგვეცვალა, ესე იგი ხორციელობა გარდაიცვალა-
სულიერობაზედ.

აწ ჩვენთან იქნება ისევ ის აკაკი, მარად მოღიმარი, მა-
რად მოაღერსე, მარად გულკეთილი, მაგრამ არა ხორციე-
ლად, არამედ სულიერად. თვითონ მან დაძინა, მიირულა
შვენიერად, ტებილად. თავის მაგიერად ჩვენდა მოსაუბრებ-
დაგვიტოვა თოთხნიკე ერისთავი“, „ბაში-აჩუკი“, იგლავის
გოდება“, „ბაგრატ-დიდი“, „ქართველი ქალი“, „ახალი გზა“,
„აღმართ აღმართ“, „მუხამბაზი“, „გამოფხინდება“... ესენი
ჩვენ ცხადად გვეუნებიან:

— „ვერ დავაგდებ ძველია გზასა, გინდა იყოს გյლიანი:

ვიცი, სხევბიც მოშეკვებიან ... და თუ ვინმეც გადუხვია და
გადასდგა მჩუდედ ფეხი, გაუსქლეს მას დედამიწა და დაცეს
თავზედ მეხიც.

— „აზრებით მტრელს, ძმის დამჩაგვრელს მრუდე ჰქონდა
გა და კვალი და რაც სთესა სიცოცხლეში, ასოვიდა ვით
ჟყალი“.

— „კრულია მისი ხსენება, ვინც დაპერმობს დედა ენისა;
თვის ომს დალატობს და მოთი თვით ჟფიქრობს მაღლა
ჭრენასაა“.

— „არიან შევნში დღეს სწავლულები: შორიდან თუ-
მცა ბევრს გერიათებენ, მაგრავ ახლოს კი დალოცვილები,
როგორც ფრტურო, ვერას გვარებენ“.

— „ჟფიქრობდი: ვნახავ სწავლულსა შეილსა, არა კხო-
გადღი იმის ზრდაში ფაქს! და რა უქნია ამ დალოცვილსა?
დღისით და ღამით ყვირის: „ვისტა! ან „ფას“!

— „უკუმბრიობის-სინიდისს აბა რა მოუმატია? ალრინ-
დელ ბარბაროსობის დღეს ჰქეია დიპლომატია!... სხულის
უკუარი გაფხიკეს, ზედ მანება აღარ სწერია, და ისტორია
ჩეკ დროში მექორე დედაბერია.

— ქმარა, რაც დღემიდი-ახლად და ძველად-გადაგვხდო-
მია დიდი საბრიუნა; აწ კი დრო არის, რომ დროს. შემცვ-
აყლად მოგვეხმას ჩეკ ში ერთია:... ყიყლიყოა!

— იგზიდ და ხილად დამიგია.

ცხოვრებისა ჩემის კვილი

და ოცნებით დამისხვის

ტებილ მეგობრად მომავალია:

ამ მომავლის მიერთოს ერთნაირად ლალალებრენტენ

საღმოთო შოთა,

დავით ცურამიშვილი,

ქამუკი ბარათაშვილი,

ლიდი ილია ჭავჭავაძე,

უკვდავი აკაკი.

წარსულ საუკუნის 60-იან წლებში ილიამ, აკაკი, ღო-
რობერიძეებმა, კირილე ლორთქიფანიძემ, ნიკო ნიკოლაძემ
და სხ., ჯერ ისევ აზალგაზრდა სტუდენტებმა, გამოაცხადეს
გეგმა თავის ცხოვრებისა— „სტუდენტების სიმღერა“, უ-
თხუზული ილიას მიერ.

„დედამ რომ შვილი გაზარდოს,

ემაგრე ჩვენისთანაო:

შმურად გამოსალევნი ვირთ.

შველგან და ყველასთანაო;

ლხინში მოლხინეს მოვულხენთ,

ფიქრის, საქმის, შრომის ღროსა

ბრძენს არც ჩვენ დავუვარდებით;

დიდს არ გავექელვინებით

და შხარს მივსცემთ პატარასა,

შტყუანს გულდაგულ დაეხვდებით,

შტლად დავედებით მართალსა;

წინ წასელაში არ დავიხევთ,

არ გავწირავთ უკან შთომილს:

ჩვენც ვიცით, რომ შველა უნდა

ულონოსა და დავრდომილს;

უანგაროდ მივალთ წინა,

მარტო ის ვვაქეს გულში ფიქრად;

რომ წინანი უკანასთვის

უნდა იქმნებ გზად და ხიდად.

მამულისა შვალნი ჩვენც ვართ

და მიტომ ვხრდით ჭაბუქს გულსა,

რომ ყოველგან გამოვალგეთ

ჩვენს საყვარელსა შიმულსა.

ეგრე გამოსადეგნი ვართ
უკელან და უკელასთანაო,
თუ დედამ შეიღო გაზარდოს, —
ემაგრე ჩვენისთანაო».

წმინდად აასრულეს ის, რასთვისაც „ზრდიდნენ კაბუკს გულსა“. ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ყაფიანი... მუშაობდნენ დაუცხრომლად ერთად საქართველოს ლიდ მაკურთხევლის გაპრიელის თანაშემწეობითა და დახმარებით.

დღეს აღარ დაშთა მათგან არცერთი, გარდა ღვაწლით მოსილ ნ. ნიკოლაძისა და თითო ოროლამათ თანამედროვეთა.

უკელა დანაშთენნი გამოგვეთხოვნენ და განისვენეს წილსა შინა აბრაამისათა.

სძინავს ამერიკერის გამაერთიანებელს. აკაკისაც.

თვალნი დაუხუჭია.

მკლავნი გულზე გადუჯვარედინებია.

ხელნი, დაუღალავად მშრომელნი, დასდუნებია ჩვენს მზრუნველს.

თითნი, განუწყვეტლად საქართველოს ჰანგის მულერელნი ველარ მოძრაობენ.

აკაკი გაყუჩებულა, აკაკი დაღუმებულა.

შემდგარა სიცოცხლე, რომელიც თვით სიცოცხლის განხორციელება იყო. მომკვდარა, მაგრამ იცოცხლებს მარად უკელის ქართველის გულში, ახალგაზლობას კი ეყოლება სახედ სამშობლოს სიყვარულისა, კაცობრიობის უკეთეს სწრაფათა ბაძისა *).

*) ნაწილი ამ წერილისა დაიბეჭდება 4. ოქტ. 1915 წ. სახალხო ფუნდის № 20—ში.

აქვე ვურთავ ჩამდენიშე მოგონებას, რომელსაც კა
ვშირი აქვს ღვთივ განსვენებულ აკაკის ბრწყინვალე
სამოგნახთან.

პირველი შეხვედრა.

ბოლიშს ვიხდი.

შორილან გვიხდება ლაპარაკი.

მაშინ ჯერ კიდევ შიშიანობა არ დამცხრალიყო საინგა-
ლოში.

ლეკების შხრივ აკლებას ყოველ წუთს მოელოდნენ. მათ
უკვე დაერბიათ სოფელი სოსეანი, საცა, სხვათა შორის, გა-
დაეწვათ ჯანაშვილების მეთაურის სახლეარი, დაერბიათ აქა-
ურობა და ტყვითა და დავლით დაპრუნებულიყვნენ დალის-
ტანს.

კაკიდგან (კახიდგან) მდევარს ვერ მოესწრო ამ წუნკა-
ლებისთვის, ანუ, აქაურულად რომ ვთქვათ, ბურკალების-
თვის.

ლეკებმა კაკ ელისენი (აღმოსავლეთი საინგილო) დაიპ-
ყრეს მე-XVII საუკ. და დაარსეს აქ იდისთა სასულთნო, რო-
მელიც მოისპო მხოლოდ 1844 წელს, ხოლო დასავლეთი
საინგილო (ჭირ-ბელაქანი) დაიმორჩილეს იმავე საუკუნის გა-
სულს და დაიარსეს ჭარის რესპუბლიკა.

მანამდე კი ჯერ ისევ ქართველობა ბატონობდა ამ ძი-
რობაზე, ლაგოდეხიდგან მოკიდებული ნუხამდე. ქართველ
მეფეს ჰყვანდა თავისი ხელ-ქვეითი. ერისთავები თოლას (ლა-
გოდეხს), ბელაქანს, მაჭას (კატეხ-ჭარის), კაჭა და შაქას (ნუხს).
ბელაქანის თავში დღესაც არის ოქედგან აყრილ და იმერეთში
გადასახლებულ წერეთლების ნასახლარები და მიწა-წყალი,
რომლებსაც გამატონებული ლეკები ისევ ძველ სახელებს

უწოდებენ: წერეთელ-ტახტას, წერეთელ-ორს (წერეთელ-რუ) და სხ.

ლექტი დაუკინგბელ მტრებად გადაექცნენ აქაურ ქართველობას. წამება, ცარცვა-გლეჯა, გადაბუგვა, ტყვეთ წაცყვანა ქართველებისა—ჩვეულებრივ ამბაზ გახდა მთელ ამ არე-მარეზე. უფრო სასტუკი იყო მათი შეფლობელობა დასავლეთ საინგილოს, საცა ქართველობა ან სრულიად გადაგვარდა და გალეჭა, ან და ამოსწყდა და გადაშენდა. სისასტუკე ილისოს სულთანისაც მცირე არ იყო, მაგრამ მის მტრებალობამ ბევრი ცერა დაკლო-რა თავის ქარებულებას, რომელთაც გმირულის ბრძოლით და დიდის ვაშკაცობით და-იცვეს თავისი საკუთარი ენა, ზნე-ჩვეულება და რჯულიც კი.

ამ რჯულისთვის წამებულნიც გამოჩნდნენ, მაგალ., აბ-რამ ხუცი შეიღი, რომელიც თავისს სახლში ინახავდა ვაჟტანგ მეფისაგან ნაბოძებ სახარებას და სხვა საეკლესიო ნივთებსა და წიგნებს. იგი სულთანმა ჩამოჰკიდა სოფელ კაჯის შარაზე მაჰმადინობის უარყოფის გამო. ამგვარადვე უწამა ქარელე-ბისაგან ზილფი ჯანაშვილი: ქარელ ქალებმა შამფურებით დახვრიტეს ეს თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირი.

საყურადღებოა, რომ ქართველების ბრძოლის ამბავი ლექტონ არ გამოჰპარება ინგილოთა მემატიანებს. აქაურ ხუ-ციშვილების ოთხთავში არის შემდეგი მინაწერი თანამედ-როვისა:

„ქორონიკონსა ტოზ (—1698) კახნი ქარს მიუხტნენ და გატეხეს და მრავალი ზიანი უყვეს და ჩვენ მოგვიკლეს აბელ მოურავი და ჩოლაყაშვილი ზურაბ სახლთ-ხუციშვილი: და იქმნენ მოწმეთა თანა ზიარ, თვესა მაისსა 15-სა, დღესა კეირიიკესა“.

დიდება და პატივი ამ მებრძოლოთ და თაყვანისცემა „ხუციანთ ოთხთავსა“ და ქურმუხის საყდარს! თუ არა ეს მებრძოლნი და არა ეს უდიდესი სიწმინდენი, აქაურობაში

შთელის ორასის ვერსის მანძილზე დღეს ქართველობის საყნება აღარ იქნებოდა, თუმცა-და მათ ოდინდელ არსებობისა და დიდების მოგვაგონებდა აქაურ ხევ-ხუვებში, ცუცა და კელზე ობლად დაშეთნილი, მინგრეულ-მონგრეული ციხე-ქალაქები, ხაყდრები, მონასტრები, სოფლები.

რათა ღირს თუნდა ისტორიკოსის თვალთა გასამსტრობად აღსართან მეფის მიერ (XI—XII ს.) ციხის ლოდზე მიწერილი: (მეცე) გამოვვიბრწყინდა, პისი ყმავე და მხლებელი ახსართან გვადიდა, რანთა და კახა მფლობელი“.

წაიღო, წალეკა მტერმა ჩვენი სამკვიდრებელი, არა აქაური მარტო, არამედ ოდესაც აყვაკებული ტაო-კლარჯეო-ჯავახეთ-კანქოისა, აფხაზეთისა და ფრთებ მოჭრილს ზღაპრულ ხოხობს დაეშვავსა ფართო, მძლავრი და აყვაკებული საქართველო.

ბარბაროსობა ცდილობდა პირქვე დაეცა საქართველოს. მჩავალ საუკუნოები კულტურული ნამუშავარი, მისი საკვირველი ნაშენობანი, რომელთა ნაშეგბის შშეენიერების წინ-დღესაც განცვიფრებით მუხლს იდრექს არა ერთი სახელოვანი ხურიოთ-მოძღვარი და მეცნიერი.

თითქმ მიწა და ჰერი ცოტა იყო, რომ ასე უდიერად ეპყრობოდნენ საქართველოს ერის შემოქმედებით ძალას, მის განვითარების!

დიად, მაშინ ჯერ ისევ შიშიანობა იყო, ცნობილი აჯი-მურთუზის აჯანყების სუსტი ტრიალებდა პატარი, რომ ზაქათალის სამაზრო სასწავლებელში მიგვაბარეს 18 ინგილობავშვი. ეს იყო სწორეთ 4 აპრილს 1868 წელს.

ზაქათალა მეტის-მეტად ლამაზი ქალაქი, ანუ, ვახუშტისებრ რომელ კონკრეტულ ციხეს მაგარი, მიუდგომელი, და მის ძირში ქალაქი, მერე ბალ-ვენახები.

იგი ქარის შეა გულშია.

ქარი მეტად მაგარი აღილია, კავკასიონის კალთებ შორის შეფენილი, ტყით დაბურული, უხვი ნაყოფით, წყალით, ხილით. იგი ძველადგანვე ქარად იწოდება, ანუ ქარ-თალად ამგვარივე სახელი ჰქვიან ქარ-თალს დუშეთის მაზრაში; ამას გარდა, საქართველოს ამ პირს რომ ქარია, იმ პირს კიდევ აქარა. თვით სახელი ზაქათალა გადამახინჯებულია თავდა-პირვანდელ ზაქარ-თალიდამ.

დაებინავდით სკოლაში და შევუდექით სწავლას. ქარ-თულს საღმრთო წერილითურთ გვასწავლიდა მღ. გრიგოლი-ევი. ტყილელ, ქართველი იყო, კაცი მოხუცი, მრისხანე, ქართველების მოყვარე. წისისასტიკე მისი იმ ზომამდე უწევდა, რომ არა თუ გაკვეთილის უკოდინარობისთვის, თვით უმნიშვნელო შეცდომისთვისაც ქვიშასა და კაკლის ნაკუჭევ აჩო-ქებდა მოსწავლეს, ან და სცემდა სახაზავით შეუბრალებლად.

მე შახსოვდა ბრძნული ნათქვამი, რომ კარგი ცხენი მათხასს არ დაიტყამსო, და ვცდილობდი ყოველთვის პირ-ნათლად გამოვსულიყავი. არ დამავიწყდება შემდეგი შემთხვევა.

ერთხელ გვიბრძანა: „ვისაც ხვალ ზეპირად არ ეცოდინება „მიწყალე მე ლმერთო“ (მე 50-ე ფსალმ.), ვაი იმის ბრძლიო“. ეს ფსალმუნი ლოცვების განყოფილებაში იყო და ისიც ხუცურად დაბეჭდილი, და ჩვენ კი ჯერ ხუცური ან-ბანი არ გვესწავლა.

ეს ამოტელა ფსალმუნი შოძლვრის შეორე დღის მოსალოდნელ ცემა-ტყების შიშის გამო, მე და ერთმა ჩემმა ამ-ბანაგმა (მიხაკო ნურაშვილმა) ხუცურა ანბანითურთ ერთს-ლამეს ვისწავლეთ და ისიც მოვარის შუქე!

პანსიონში, საცა ჩვენ ვიყავოთ, ჩვეულებრივ ყოველ-დღიურ გაკვეთილების სწავლა 9 საათზე თავდებოდა და ვახ-

შმის შემდეგ ბავშვები სამეცაჭინო ოთახს სტოვებდნენ და საძილებში გადაღიოდნენ. ათ საათზე უკელვან ჩამი-ჩუმი აღარ იყო ხოლმე და სამეცაჭინო ოთახი იკეტებადა მორივ ლალასაგან. ეს მას, ლალა რომ ჩამოივლიდა საძილეს და ლოგინში ვერ ნახავდა ვისმე. ჩვენ ეს ვიცოდით და ორივე ჩვენი სახელმძღვანელოები შევაპარეთ საძილეში და დავწერ-ქით, თავი მოვიმძინარეთ. ლალა რომ წავიდა, ორთავე ავ-დექით, ჩავაცვით, გამოვიპარენით გარე-ეზოში და შევუდე-ქით საქეს. ბაზრი მოვარე იყო და კაშკაში გაქვინდა არე-მარეს. ხუცურ ანბანს ვადარებდით მხედრულს, სიტყვის და ფრეზის მნიშვნელობას ვტყუბილობდით და ვსწავლობდით ფსალმუნს ზეპირად. რიეჩავდებოდა, რომ თითქმის სულ გავიზეპირეთ და საძილეში დავბრუნდით დალალულნი, გა-დამწირულნი.

მთვარის შუქსე მხნეობამ ცემა-ტყევას გადაგვიარჩინა.

ერთხელ კიდევ მოგვეცა გასაზეპირებლად აკაიის უსიმ-დერა მკის დროსაც. მაშინ პირველ კლასში ვიყვათ და ინ-გილოურ კილოზე მოლაპარაკეთ ქართული ჯერ ვერ გაგვი-კვეთა. ამოტელა ლექსის დასწავლა არა თუ ჩვენ, ჩვენზე დიდებსაც გაუკირდებოდათ. რალა თქმა უნდა, ჩვენგან ვერც ერთხა ვერ დაისწავლა მეორე დილისათვის, მით უმეტეს. რომ მასწავლებელმა არაფერი არ აგვისნა წინა დღეს.

შიშით ვკანკალებდით, რომ კლასში შემობრძანდა მაპა-გრიგოლიევი. ბედად დღეს კვლავინდელზე ჰხიარულ გუნე-ბაზე იყო. ჰკითხა ერთ მოწაფეს:

— ლექსის მოლოზი რა სწერია?

— ჰაკაკი, მიუგო.

— რაო? რა არის ჰაკაკი?

— ჰაკაკი ხეა.

— გინაბავს შენ?

— როგორ არა. კაკში არის სქელი დიდი ჰაჟეკი, სანე-

ბაზე დგას, *) იქ ბევრჯელ გვითამაშნია, იქ სანთელ-საკუ-
ლით იხსენიებენ ჭინაპრებს, ძველ გმირებს.

— გეტუობა, შენ თამაშობა უფრო გემარჯვება, ყოლრე
სწავლა. ქართული ციი?

— დიალ!

— „გავლესოთ, ძმებო, ნამგალი“. რას შერებიან ნამ-
გლით?

— ნამგლით ჩვენში ბალახს თიბენ, შანგვლენ, კაჭვენ:

— ყანას რითი მკიან?

— ღულით.

— ღული როგორია?

— ნამგალს გავს, მოკბილულია.

— ჰოოპუნას როგორ აგუგუნებენ?

— ერთი მოსთვეამს, მეორენი აყოლებენ.

— ვინ არის იმერელი?

— იმერელი ქართველია, ბაში-აჩული, რაჭგან, რო-
გორც ამბობენ, თავშიშველა დაუიან შინ და გარეთ.

— დაჯექი. ყური დამიგდეთ. აკაკი ჭავაკი კი არ არის,
კაცია, ქართველების მწერალი. ჯერ ახალგაზდაა, მაღალი,
ლამაზი, შხიარული, ტკბილად მოლაპარაკე, დიდი თავადი.
შეილი. მე ის ილია ჭავჭავაძისას გავიცან. იქ იყვნენ მაშინ
აგრეთვე მწერლები მესხი, გიორგი წერეთელი, ნიკოლაძე,
გოგებაშვილი, ცხევთაძე და სხვები. აკაკი იმერეთიდამა,
საჩხერელი წერეთელი. ჯერ ისევ წმინდა ნინო ამბობდა, სა-
ქართველოში სამკალი ფრიად არს და მომკალი ცოტა-
ახლა ეს ჩვენი აკაკიც ამ სიჩლერაში გვეუბნება: საქმე ბევ-
რია, ამა, ბიქებო, ვინც ვაშკაცები ხართ, ვისაც გიყვართ

*) სანებას მაღლა გორიდამ გაღმოსცემის არჩილ მეტის მიერ მე-
VII—VIII საუკუნე. აშენებული კასრის-საყდარი, რომლის ეზოში ჩაღმული
ქვევრი ათას ჩაფიანია.

ჩვენი ლაშაზი საქართველო, მოდითო, მოგროვდითო, ნამ-
გლები გველესოთო და შევუდგეთ გულმხერებალედ საერთო
საქმეს, თან კიმუშაოთო და თან მწყობრად ჰუმპუნა დავა-
გუგუნოთო, ნუ დავზოგავთ ჩვენს ჯანსა და ლონეს სამშობ-
ლოს წარმატებისათვის, მის მცერს პარპაშობას ნუ შევარ-
ჩნთო, ერთგულად თუ ვიშუშავებთ, „საღამომდისა“, ე. ი.
ჩვენს სიბერებმდის, ბევრს კარგ საქვეს მოვასწრებთთ. იგი
გვამხნევებს და გვეუბნება:

„ჰომაჩუნა, ავხე, ავხე,

ბიქო, ჩემი მეუცა ნახე

და, თუ შენ მკაში ჩამოგრჩე,

ქალაჩუნა დამიძახე“!

საერთო საქმეზე ამბობს: ქალაჩუნაა ის კაცი, რომე-
ლიც ამ საერთო საქმეს გაურბის და ოოლ-ამხანიგს ლალა-
ტობსო. ისწავლეთ, შეილებო, ისწავლეთ ბეჯითად, რომ
თქვენც გამოადგეთ ჩვენს დაბერჩვებულ ქვეყანას, რომ თქვენც ც
მხარი დაუჭიროთ აკაცის, ვაკავაძეს და სხვა მებრძოლთ და
მოკირნახულეთ. აქ რომ კარგად ისწავლით, მერე ტფი-
ლისში წახვალთ და აკაცის ნახვისაც მოესწრებით“...

დაირკეთ გაკვეთილი გათავდა, მასწავლებელი წავიდა,
ჩვენ კი ერთხმად წამოყოძახეთ:

— ნერა ჩვენც ენიხვთ აკაცის?

1872 წელს, ზაქათალის სკოლის დასრულ ბის შემდეგ,
ჩემმა მიძაშვილმა, ცნობილმა დიმიტრი ჯანაშვილია, ჩამომი-
ყანა ქალაქს სემანარიაში მისაცემიდ. არ მიღებდნენ, რო-
გორც საერთოს, საერთო ნასწავლეს, მაგრამ ამ სასწავლებლის
მასწავლებელნი ნიკო ქვეთაძე, თომა რურიაშვილი, პეტრე
კონკოშვილი (ამ კასტეკობი), გომარგი იოსელიანი დამებმა-
რცნენ და მიმიღეს.

ხიშინელი ხილარ-შე სულევდა ჩაშინ საჭინარიელთა შო-
რის, ასეთი სიღარიბე, რომ, ჩაშინად, ზაშინის სულევდა გო-

წაფენი აბანოვი დაიარებოლნენ ფეხშიშველა, ზაფხულის გაცრეცილ ხალათებით. საქმლის სიღებჭირეს ხომ ნუდარ იკითხავთ. სოფლები მას ვერ ეკარებოდა და, თუ საკუთარი გროშებით არ იყიდდა, მუდამ ნიხევრად მშიერი რჩებოდა.

მჩავალნი და მათ შორის შეც ყოველსაცე გაჟირებას ვიტანდით, რადგან ციცოდით „სწავლის ძირი მწარე არისთ, კენწეროში გატკბილდებისო“. სწავლა, სწავლა, კულა სწავლა — ეს იყო ჩვენი ერთად ერთი საქმე. არ ვიშიშვი გადაჭირებდისა, რომ ვთქა — დღე-ღამე 5—6 საათს ძილს ვანდომებდით და დანარჩენს სწავლას. სემინარიის ბიბლიოთეკა სახელი იყო მეტად კარგ წიგნებით. წაუკითხავი თითქმის არც ერთი არ გაჟამჩია. სადღაც ვაშოვე აგრეთვე პლ. იოსელიანის მიერ შეფარგვილი საეკლესიო ისტორია, რომელიც თითქმის გავიზებირე მერე ჩამიგარდა ხელში დუბრივების, გალავინის, ბარათაშვილის და სხ. ისტორიული თხზულებები, შლოსერის, მილლის, გიურის, ლექციერის ნაწერები და ბერი ა'გვარი წიგნები. ყველას ხალისიანად ვსწავლობდი, არა თუ ვკითხულობდი. წაკითხულს მე თვითონვე ჩემს თავს კუმბობდი ხოლმე მოყოლით, რომ გულში კარგა ჩამჭდელდა და დამხსოვებოდა, მას გარდა, ქართულ გაზეთს არასდროს არ ვიშორებდი ჯიბე უბილან.

იკითხავთ, ვინ მაძლევდა გაზეთს მე, დიღს სილარიბეში მყოფ სემინარიელს, მეტად მაშინ, როდესაც ის იყო ქართული გაზეთის კრთხვა კურძალებს.

ვიღებ ამ კითხვაზე პასუხს გაგუმდეთ, საჭიროა გივის სენიორ შემდეგი.

სოფლიდამ ტფილისში რომ ჩამოვედი, პირველი კული, რომელიც მე აქ გავიცან, იყო „ადრენობის“ რედაკტორი სერგეი შესხი, ფინანსების მინისტრი დამებ ამ პატიოსან და მოჭირე ნახულე მოლვაჭისხ გეგამიე. ეს ასე იყო.

სხვა და სხვა მიზეზების გამო სოფელში ძალიან დაგვი-
ვიანდა. ჩემს ბიძაშვილს, რომელიც ზაქათალაში მასწავლებ-
ლობდა, არა სკალოდა, თუმცა ისიც გულით მოისწროფდა
ქალაქისკენ, რომ მესხთან მოელაპარაკა თვის ისტორიულ
წერილების დაპევდვის თაობაზე. ბოლოს საქმეები მოვავა-
რეთ და ი ენკინისთვეს, საღამოს 7 საათზე, გამოვემზავრე-
ნით. საშინევლი წვიმების გამო ჭარის ხევები გაციფრ ბული-
ყვნენ და გზა-კვალი მოეცათ, მეეტლემ წყალი დაგვახრინ-
ბსო, ვერ გავიცლით მშვიდობიანოთ“. საჩუქარი აღვუთქვით
და გავაძევინეთ ქცილის დაძრა.

ეტლი მოიტაცა წყალმა, მაგრამ ვერ გადაბრუნა. წა-
ვილო შორს, შორს და ის იყო ერთ მიწურულში უნდა
შევეცურებინეთ, რომ მეორე ნაპირიდამ გაღმოწოლილ ხის
ტორებს მოვექიდენით და დიდის ვაი-ვაგლახოთ სამშვიდო-
ბოს გავედით. დასველებულებს მთელი ღამე არ გვიძინია.
თენდებოდა, რომ დედოფლის წყაროს მივედით, ცოტა შევის
ვენეთ და ისევ გზის გაერთდექით. მეეტლები ყოჩალი ბიქები
შეგვხვდნენ, სულ მკლავ და ფეხ მარტი ქიზიყელები. უ საათი
იყო, რომ შორიდგან გამოჩნდა თბილი ქალაქი, რომელის არე-
ბირე, უთვალია ღამპრებით გაშუქებული, ჰგავდა ვარსკვლა-
ვებით მოკედილ კრიალა ცას მოვაწიეთ, და „დროების“ რე-
დაქციაში ჩამოვხტით. თვით სურგეო მესხმა მიგვილო, ჩემი
ბიძაშვილის—დიმიტრის დიდი მევნობარი იყო. ვატორა ინ-
გილო რომ მნახო, სტარულით აღარ იცოდა, რა ექნა, რო-
გორ მომალერსებოდა. შეტაც შეწუხდა ჭარის ხევებს ტალღე-
ბისაგან ჩვენი წალევის ამბავი რომ ვუამბეთ. მაცივდებოდა,
ურთი თქვენს კილოზზ ფამელაპარაკეთ. ჩემს კითხვებზე რქ-
ვენებურად მომიგეთ, და დაიწყო.

— ქცილა სად ხდი?

— თიფლიში, კუპასუნდე.

- საიდგარ მოხველიო?
- ფეით.
- რათ?
- სილოცელა (სასწავლოოდ)
- რა გინდა გიმოხვიდე?
- ღდელ
- რათ გინდა ღვდლობა?
- ჩონ ხილს ვისწავლი.
- არ გინდა მწერალი იყო?
- რაზე არა, მინ (მინა, მინდა)

— აკადე, ქარგი კაკი გამოხვიდე. თქვენი ქვეყნის არა-სებობა ჩეუნ არც კი ვეცოდით და ამ ჩემმა მეგობარმა დი-ჟიტრიმ შეგვატყობინა, რომ საინგლიიში ბევრი ქართველობა არის. დღეიდან შენც ჩემი მეგობარი იქნები, იარე ჩევნისა და ისარგებლე წიგნებითა და გაზეოვებით, „ფრთხება“ ხომ შენთვის ფერში.

განუსაზღვრელად გამახარი ამ მამაშეილურმა მოპყრობაში და იმედი დამესახა გულში, რომ ამ ჩემთვის უცხო ქალაქში გულშემატევიარი გამოჩნდა, თუმცა კი ძალიან გამიკვირდა ქართული გაზეთის რედაქტორისგან საინგლოს არ ცნობა, მის არაეპობის არ ცოდნა. გვიფიქრე ჩემთვის; ნუ თუ ქარ-ოველ სახოვალოებს გამოეპარი ისეთი, შედარებით, დიდი, ამბივი ჩევნის ცხოვრებაში, რომ ამოცია წლის წინად (1850 წ.) გამა ჩემმა, იგანე ბულულაშვილმა და კილვა გქვსმა მათმა ამ ხანაგმა ტუილიში ჩამოიყენეს 37 ინგილო, ზოთ შორის ეს ლიმიტრიც (ჯანაშვილი), და შონათლებს სიონის ტაძარში და ბერე დაბრუნდნენ სამშობლოში და მონათლებს უკელა დანა-შთენი ინგილოებით; ნუ თუ ეს ამბივი ისეთი უმნიშვნელო იყო, რომ ქართულში მწერლობაში არ აღნიშნა და თვით სა-ზოგადოებაშიც დოფიტვით...

ჩემი ბიძაშეილი რომ დამზურდა ქარს, მე სპილად და-


ვიარებოდი „დროების“ რედაქტირაში და ყოველგვარ თანა-
გრძნობას ვპოვებდი უკეთილშობილეს მესხის მხრავ და აგ-
რეოვე მის სათნო ოჯახისა.

ერთხელ ჩვეულებისამებრ რომ მოველი რედაქტირაში,
რომელიც მაშინ მოთავსებული იყო სწორეთ იმ საფრთხში,
საცა დღეს ილია წინამდებარიშვილის კანტორაა, ერვნის
მოედანზე, თვითონ მესხი შინ არ დამხვდა და არც სხვა ვი-
ნმე იყო, რომ გაზეთი გამოვერთმია. დავტრუნდი დაღონე-
ბული და ის იყო კიბეზე ჩამოვიარე, რომ კარებში შემხვდა
მაღალ-ჭაღალი, მეტია-მეტად მოხდენილი ახოვანი კაცი. ერთ-
ბაშად ვერ ვიცან დალონებულმა, თვით მესხად მიიჩნიე და
მივესალმე, როგორც „დროების“ რედაქტორს; ვამიღიმა,
მითხრა: „შენ ვერ მიცან, მე კი გიცან. მესხი კი არა, მე
აკაკი ვარ“. შემრცხვა და ჩემდა გამოწვდილ ხელს ორივე ხე-
ლი მივაგებდე. მომეალერსა, მომესაყვარლა ჩვეულებრივ
აკაცისებრ სიყვარულით, რედაქტირაში შემიპატიუ, გაზეთი
მომცა, დამარიგა და გამომისტუმრა. ჩემს სიხარულს საზღვარი
აღარა ჰქონდა. მოველ სემინარიაში და იმავ დღეს მივსწერე
ერთ ჩემ ნამხანაგარ ინგილოს შემდეგი.

„...ვნახე, ვინც გვენატრებოდა. ვნახე სწორეთ ჩვენი
მწერალი აკაკი წერეთელი, „ჰაობუნას“ გამომთქმელი. გახ-
სოდს, მღვდელი გრიგოლიევი რომ გვასწავლიდა ქარში მის
დაწერილს — „სიმღერა მკის დროს“. სწორეთ ის ხელი ჩამო-
მართო, რომლითაც ეს შესანიშნავი მოწოდება დასწერა; და
თანაც მითხრა: „კარგა ისწავლე, საქართველოს მედგარი და
მშრომელი ხალხი გვაკლიაო“. შეიტყე, ამან უკვე ჩარგო
არა ისეთი ჰაკაკი, როგორიც მანდ კაკში დიდებულად გა-
დაბორჯდილა გმირთა სახსენებელ სანებაზე, არამედ ისეთი
მშვენიერი სიტყვა-კაზმული ხე-ცხოვრებისა, რომლის ფქსვე-
ბი მთელს საქართველოს აჩვირ-იჩირ უწვდება და სამარი-
დისნა“.

უნდა დავბეჭდოთ“. გავიდა ზანი და კიდევ შემოიარა და მითხრა: „მთავარმართებლის შერემეტიევის მეუღლეს ვაზლდი და შენი და შენის პალეოგრაფიულ ტაბულების ნახვა მოინდობა. წავიდეთო“ წავედით თავად ჩოლაყაშვილის მეუღლისას და იქიდგან მასთან ერთად შერემეტევისას. საკმაო ხალხი შეკრებილიყო. დიასახლისში გვერდს დამისვა და ლამის პირველ საათამდე შინჯა და გატაცებით ისმინა ახსნა-განმარტება, მეტად იამა, როდესაც თამარ მეფის ხელ-წერილი ვაჩვენე. წაიკითხეთ. წავიკითხე: „მტკიცე ყოს ღმერთმან შეცვალებელიად“. რას ნიშნავსო. გადაუთარებენ. მაშე ყველილო ისევ ის, რაც ჩვენი იმპერატორების: „Быть посему“. მთავარმართებლის მეუღლე გზა-და-გზა ისტორიულ ამბებსაც მკითხავდა, უფრო კი საბას მონასტრისას. შუალიმე გადასულიყო, რომ გამოვეცხოვენით განათლებულს დიასახლისს და მის ვაჟს. დიდი მადლობა გადაგვიხადეს შრომისოვის. აკაკის ევონა ყოველი გაგებული ქართველი გამოისტებდა წვლილს მის წინაპრების ხელწერილების და, საზოგადოდ, ქართულ წერის ისტორიის (პალეოგრ. ტაბულების) დასაპეტდად, ზაგრამ არ გაუმართლუ იმედი. მისგან ოკუიოდე ნიმუში მხოლოდ დავბეჭდე ჩემს „ცარიცა თამარა“-ს დამტებაში.

3. ჯანაშვილი.



16 පෙළපිටියාලුව ගරුගිරිස දේ මුදුක්‍රෝග ගාමනයුතා

අඳුවුල මේසිනි	25	රු.
මේසිනි	10	රු.
ජාරිතුවී ගරාමාතියා	50	රු.
සජාරිතුවීලා මිශ්‍රණය	1	රු.
ගිනිරුවු සෑංචුරු	25	රු.
පිටා බාබා බුලුලාඡුවීලා	10	රු.
ම්‍යේ දා ඕකුපි	10	රු.

